ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ე 1505-11 15 12 2011 წ.

დადგენილება №001490
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.12.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 28 ნოემბრის №001490 მითითება და 2011 წლის 09 დეკემბრის №001490 შემოწმების აქტი შედგენილი ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ის (მის.: ქ. თბილისი, ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1950 21.12.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, „ა-დ" ფასადზე გ-დ მონაკვეთში -8.10 ნიშნულზე გაზრდილია ფრამუგის გაბარიტები. -2.70 ნიშნულზე გ-დ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. ±0.00 ნიშნულზე ბ-დ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, ხოლო +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის გ-დ მონაკვეთში კარების ნახატი. „დ-ა" ფასადზე დ-გ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის დ-გ მონაკვეთში შეცვლილია კარების ნახატი, ხოლო ბ-ა მონაკვეთში შემცირებულია ღიობების სიმაღლე. „1-6 ფასადზე ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების კონფიგურაცია. 1-6 მონაკვეთში მთლიანად შეცვლილია ფანჯრების და კარების ნახატები. „6-1" ფასადზე -8.10 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში გაუქმებულია ღიობი. -5.40 ნიშნულზე 6-5 მონაკვეთში ფრამუგის გიობები გაერთიანებულია და მოწყობილია ერთი მთლიანი. ±0.00 ნიშნულზე 5-4 და 3-2 მონაკვეთებში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +4.50 ნიშნულიდან ზევით მთლიანად 6-1 მონაკვეთში შეცვლილია კარების და ფანჯრების ნახატი. 6-6 და 1-1 ღერძების გარეთ +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის გაუქმებულია კარები. ფასადებზე მოწყობილი რიგელები არ ფიქსირდება არქიტექტურულ პროექტში. -8.10 ნიშნულზე ბ-გ მონაკვეთში 6-6 ღერძის გარეთ გაზრდილია სართულის ფართობი (დაახლოებით 36კვ.მ-ით) ხოლო სართულის სიმაღლე (დაახლოებით 0.25მ-ით). -5.40 და -2.70

TBILISI CITY HALL
204521794

ნიშნულებზე კოლონები 80X50-ის ნაცვლად მოწყობილია 80X80 და გაზრდილია სართულების სიმაღლეები (თითო დაახლოებით 0.25მ-ით). ±0.00 ნიშნულზე 1-6 მონაკვეთში დ-დ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია აივნის ფილა (დაახლებით 30კვ.მ).

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 28 ნოემბერს შედგენილი იქნა მითითება №001490 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 01 დეკემბერს), რომლითაც განესაზღვრა 7 (შვიდი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 09 დეკემბერს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001490 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 09 დეკემბერს), რომელშიც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 15 დეკემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე გამოცხადდა ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ის თავმჯდომარე ემზარი გაბეჭავა (პირადი №01003002120), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მანვე განაცხადა, რომ დარღვევების გამოსწორებას აპირებენ პროექტის კორექტირების გზით.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ბ. პაკელიანის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ის მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ ფერდობზე ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1950 21.12.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, „ა-დ" ფასადზე გ-დ მონაკვეთში -8.10 ნიშნულზე გაზრდილია ფრამუგის გაბარიტები. -2.70 ნიშნულზე გ-დ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. ±0.00 ნიშნულზე ბ-დ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, ხოლო +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის გ-დ მონაკვეთში კარების ნახატი. „დ-ა" ფასადზე დ-გ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის დ-გ მონაკვეთში შეცვლილია კარების ნახატი, ხოლო ბ-ა მონაკვეთში შემცირებულია ღიობების სიმაღლე. „1-6 ფასადზე ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების კონფიგურაცია. 1-6 მონაკვეთში მთლიანად შეცვლილია ფანჯრების და კარების ნახატები. „6-1" ფასადზე -8.10 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში გაუქმებულია ღიობი. -5.40 ნიშნულზე 6-5 მონაკვეთში ფრამუგის გიობები გაერთიანებულია და მოწყობილია ერთი მთლიანი. ±0.00 ნიშნულზე 5-4 და 3-2 მონაკვეთებში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +4.50 ნიშნულიდან ზევით მთლიანად 6-1 მონაკვეთში შეცვლილია კარების და ფანჯრების ნახატი. 6-6 და 1-1 ღერძების გარეთ +4.50 და +30.90 ნიშნულებს შორის გაუქმებულია კარები. ფასადებზე მოწყობილი რიგელები არ ფიქსირდება არქიტექტურულ პროექტში. -8.10 ნიშნულზე ბ-გ მონაკვეთში 6-6 ღერძის გარეთ გაზრდილია სართულის

ფართობი (დაახლოებით 36კვ.მ-ით) ხოლო სართულის სიმაღლე (დაახლოებით 0.25მ-ით). -5.40 და -2.70 ნიშნულებზე კოლონები 80X50-ის ნაცვლად მოწყობილია 80X80 და გაზრდილია სართულების სიმაღლეები (თითო დაახლოებით 0.25მ-ით). ±0.00 ნიშნულზე 1-6 მონაკვეთში დ-დ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია აივნის ფილა (დაახლებით 30კვ.მ).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის 14-ე პუნქტით, მე-13 მუხლის 17 პუნქტით, მე-13 მუხლის 18-ე პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23 მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ამხ. "ფანასკერტელი 2005" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;
2. ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ამხ. "ფანასკერტელი 2005"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.
4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.
5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. ჟვანიაშვილი

საგადასახდელო დავალება N 1

10 იანვარი 2012

ოპერ 13900

12F2F

გადამხდელი	ემზარი გაბეჩავა, 01003002120
გადამხდელის ანგარიში	GE22BR0000010430613723
გადამხდელის ბანკი	ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის კოდი	REPLGE22

თანხა

4,000.00 GEL

თანხა სიტყვებით

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება	ამხანაგობა "ფანასკერტელი 2005"
საიდენტიფიკაციო კოდი	205239348
მიმღები	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თბილისი)
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263
მიმღების ბანკი / ხაზინა	ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი	TRESGE22
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება N 001490. სერია დ 1505-11. 15.12.2011

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსულის თარიღი 11.01.12

გატარებულია ბანკის მიერ 11.01.12

ხელმოწერა

ხელმოწერები